



ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრი
3500 ოზურგეთი ა. წულაძის №10

N(N)LE OZURGETI
MUNICIPALITY PUBLIC
HEALTH CENTER
3500 A. Twuladze #10

☎ (0496) 27-56-30. 599 51 02 60

E-meil: mqutize@mail.ru

№16

18 -იანვარი- 2019 წ

ქალაქ ოზურგეთის მერს
ბატონ კ.შარაშენიძეს

ბატონო კონსტანტინე,

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2018 წელს განხორციელებული სავალდებულო ღონისძიებების ადგილობრივი დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის ანგარიშს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოზურგეთის რაიონული ცენტრი არის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, კანონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის თვითმმართველობის შესახებ“ საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც თავის კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებს. აქვს დებულება, ფლობს გერბიან ბეჭედს და შტამპს საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, აქვს ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიშგება სახელმწიფო ხაზინაში.

ცენტრის დაფინანსება ხორციელდება, როგორც რაიონული, მუნიციპალური პროგრამების, ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან სახელმწიფო ცენტრალური პროგრამის შესრულების მიხედვით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა ცენტრს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტში შემავალი სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ვაქცინებით უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ინფორმირება დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულების შესახებ;

შესაბამისი სამსახურების ინფორმირება (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი);

სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამების ორგანიზაციის და განხორციელების ხელშეწყობა.

რუტინული სამედიცინო სტატისტიკური მასალის შეგროვება დამუშავება და წარდგენა დადგენილი წესის მიხედვით.

ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში მუშაობს მუნიციპალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში 14 საშტატო თანამშრომელი და 1 შტატგარეშე თანამშრომელი, რომელთა საშუალო ხელფასი შეადგენს 300 ლარს. 2018 წლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 155927,90 ლარით, აქედან მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 115229,30 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლები 40653,60 ლარს. რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამას, მის შესასრულებლად თანხები არ გამოყოფილა.

2018 წლის მონაცემებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეულია და ათვისებულია შემდეგი ხარჯები: შრომის ანაზღაურება –95663 ლარს, აქედან თანამდებობრივი სარგო შეადგენს 58380 ლარს, სხვადასხვა პროგრამებით გაცემული ხელფასი 37283 ლარს. შტატგარეშე შრომის ანაზღაურება 8751 ლარი, მათ შორის თანამდებობრივი სარგო 2645 ლარი, კომუნალური ხარჯები 4221,70, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი 8525,70 ლარი, საოფისე ხარჯი 10701,90 ლარი, ბინის ქირა 12000 ლარი, დაცვა 1620 ლარი, მივლინება 410 ლარი, სამედიცინო ხარჯი 2136 ლარი, საბონიფიკაციო ხარჯი 5820 ლარი, სულ 141098,30 ლარი.

გადამღებ და არაგადამღებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები:

ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ჩატარებულია ეპიდკვლევა და დასახულია შესაბამისი ღონისძიებები 2018 წლის განმავლობაში შემდეგ დაავადებებზე: ყივანახველა 3, წითელა 22, მწვავე ჰეპატიტი B 3, ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B 13, ჰეპატიტი C 183, სხვა სალმონელოზი 3, შიგელოზი 4, სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა 752, სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეები 116, ბრუცელოზი 2, ლაიმის დაავადება (ბორელიოზი) 5, Q ცხელება პარტახტიანი ტიფი, ლაქოვანი ცხელება და სხვა რიკეტსიოზები 1, ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია 1163, ჰანტავირუსული ინფექცია 6, ლეპტოსპიროზი 13, ქუნთრუმა 26, ჩუტყვავილა 71. სიფილისი 11, აივ-შიდსზე ტესტირებული 1100, აივ-შიდსზე ტესტირებული ორსულები 443, ტუბერკულოზი 95, 15-49 წლის ასაკის ქალის სიკვდილი 4, 0-5 წლამდე ბავშვის სიკვდილი 1.

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის რისკის შემცველობის მქონე შემთხვევები, შესწავლილი იქნა და შეყვანილი ეპიდემიოლოგის მიერ “დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ერთიან ეროვნულ ბაზაში”

განხორციელებულია გეგმიური მონიტორინგი რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებებში

2018 წელს ოზურგეთის საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში c ჰეპატიტზე გამოკვლეული იქნა 110 ბენეფიციარი. დადებითი პასუხის მქონე პირები გაგზავნილი იქნა შესაბამის დაწესებულებაში.

იმუნოპროფილაქტიკის ღონისძიების უზრუნველყოფა

მოსახლეობაში (0-დან 15 წლამდე) ჩვენს მიერ დადგენილი იმუნიზაციის პროცესის და სამიზნე კონტიგენტის შესაბამისად, რომლის მთავარი ამოცანაა იმუნიზაციით მოცვის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფა, განხორციელდა სათანადო ღონისძიებები: ყოველდღიურად მოწმდება სათანადო პერსონალის მიერ „ცივი ჯაჭვის“ (ვაქცინების შესანახი მაცივრების) გამართული მუშაობა. 29 სამედიცინო უბანში, შპს "მედალფას" ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში, მოთხოვნების შესაბამისად გაცემულია ასაცრელი მასალა, ისეთი მართვადი ინფექციების თავიდან ასაცილებლად, როგორცაა ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, დიფთერია, ტეტანუსი, წითელა, წითურა, ყბაყურა. ხდება B ჰეპატიტის ვაქცინის მიწოდება C ჰეპატიტის პროგრამაში ჩართული დაწესებულებისთვის.

2018 წლის განმავლობაში აცრებით მოცვის მაჩვენებელი შეადგენს: ბცკ—95,5 %, სინფლორიქსი 71 %, დეცტ 89%, ოპვ 91 %, ვწყ-I 96 %, ვწყ-II 90 %, დტ 93%, ტდ 82%, ჰექსასიმი 87 %, ჩატარდა მონიტორინგი ყველა სოფლის საექიმო ამბულატორიაში და შპს მედალფას სამედიცინო ცენტრში.

მოეწყო იმუნიზაციის კვირეული სკოლებში და ბაღებში, სადაც დარიგდა ბუკლეტები და ჩატარდა ბავშვებთან ლექცია საუბარი იმუნიზაციის შესახებ, შემოწმდა ყველა ბაღში ჯანმრთელობის ცნობები, თუ რამდენად სრულყოფილად არის ჩატარებული აცრები. გრძელდება 1-17 წლამდე წწყ-თი აუცრელი ან არასრულად აცრილი კონტიგენტის შეგროვება და აცრა, ასევე 15-დან 40 წლამდე ასაკის პირების ერთჯერადი ვაქცინაცია აცრის სტატუსის გათვალისწინებით.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

სამედიცინო დაწესებულებებუდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად (იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლები, დემოგრაფიული (შობადობა გარდაცვალება, ბუნებრივი ნამატი,) ინფექციური დაავადებების, ტუბ მუშაობის კვარტალური, ანტირაბიულის ყოველთვიური ფორმების დამუშავება სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით კეთდება ანალიზი და დგინდება შესაბამისად მოსალოდნელი პროგნოზი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წელს შობადობა შეადგენს 439, გარდაცვალება არის 445, მკვდრად შობადობა 3.

ანტირაბიული ღონისძიებები

რომლის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტში ცოფის გავრცელების წინააღმდეგ სისტემატური მონიტორინგის წარმოება და სათანადო ღონისძიებების გატარება. შესაბამისი სამსახურების (ვეტ სამსახური, ანტირაბიული კაბინეტი) დროული ინფორმირება. ცოფზე საექიმო ცხოველების მიერ დაკბენა, დღორბლევა, დაკაწვრის შემთხვევაში კერის ეპიდემიოლოგიური შესწავლა, დაზარალებულების დროული ჩამბვა პროფილაქტიკურ მკურნალობაში.

2018 წელის სულ შემოსულია ცოფზე საექიმო ცხოველების მიერ დაკბენილ დაკაწრულ დაღორბილი ადამიანების 1163 შემთხვევა. ყველა მათგანზე დამყარებულია სისტემატური მონიტორინგი და დროულად ინფორმირებულია სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის სათანადო სამსახური ცხოველებზე 10 დღიანი საკარანტინო ღონისძიებების ჩასატარებლად. ყველა საექიმო ცხოველის მიერ დაკბენილი დაკაწრული და დაღორბილი ადამიანები ეპიდემიოლოგიურად შესწავლილია. დაზარალებულებს სტანდარტული სქემის მიხედვით დაზიანებებიდან გამომდინარე დაენიშნათ პროფილაქტიკული კურსი ანტირაბიული ვაქცინით და ანტიტეტანური შრატით.

მაღარიის, ჰელმინთოზების წინააღმდეგ პრევენციული და კონტროლის ბრძოლის ღონისძიებები:

ღონისძიებები მოიცავს, წყალსატევებში გამბუზის გავრცელებას, სიცხიანი ავადმყოფების გამოვლენას, მათი ლაბორატორიული კვლევას, კერაში ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, პარაზიტული და სხვა ჰელმინთური დაავადებების კლინიკური კვლევას, ლექცია საუბრების ჩატარებას:

გამომდინარე იქედან რომ, ოზურგეთის რაიონი ითვლება ჰიპერმაღარიულ ზონად და მიეკუთვნება პირველ ჯგუფს, სადაც დაავადების გადაცემის რისკი ძალიან მაღალია, ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენს შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ღონისძიებები მიმართულია გამომწვევისა და გადამტანის წინააღმდეგ, რომლებსაც მიეკუთვნება შემდეგი სამუშაოები. ყველა წყალსატევების აღრიცხვა პასპორტიზაცია რომელიც ჩატარდა მარტის თვეში, სულ რაიონში აღრიცხა 336.8 ჰა. წყალსატევი მ.შ. ანოფელეგენური 334 ჰა. (რომლებშიც იჩეკება და მრავლდება მაღარიის გადამტანი კოლო ანოფელესები)

აპრილი, მაისი, ივნისის თვეში ენტომოლოგიური განყოფილების მიერ გატარებული იქნა საბონიფიკაციო სამუშაოები: გამოკვლეულია 254,2 ჰა, გამბუზია გადაყვანილია 94,25 ჰა, გაიწმინდა წყალსატევები წყალმცენარეებიდან 63190 მ. მიწის ფართობზე, გაჭრილი იქნა 1034 მ.სიგრძის არხი. ასევე იქნა ჩატარებული ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის “მაღარიისა და სხვა ტრანსმისური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება” კომპონენტის ფარგლებში მაღარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებები, დამუშავდა ურეკი, შეკვეთილი ძიმიტის საცხოვრებელი სახლების ფართობი 140000 კვ.მ, სადაც დაიხარჯა 700კგ. სოლფაკ-გპ-10.

რაიონის ტერიტორიაზე ტარდება სანგანმათლებელი სამუშაოები, რომლებიც მოიცავს მათ გაფრთხილებას თუ როგორ დაიცვან თავი მწერების კბენისაგან.

მაღარიაზე გამოკვლევა ჩაუტარდა 120 პიროვნებას (პიროვნებებს რომელთაც აღენიშნებოდათ უცნობი ეტიოლოგიის ცხელება და 3 დღეზე მეტ ხანს ტემპერატურა)

ჰელმინთოზების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები:

პარაზიტული დაავადებები გვხვდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობაში, ინვაზიის გავრცელება დამოკიდებულია კვების წყალმომარაგებისა და სანიტარულ ჰიგიენური პირობების თავისებურებებზე, ბავშვებს შორის ინვაზია უფრო მაღალია და საერთოდ აღწევს 39%-ს. მოზრდილებს შორის კი 30 %-ს. ამიტომ ჰელმინთოზებისაგან მოსახლეობის გაჯანსაღების მიზნით ჩატარდა მეთოდური ლექცია-საუბრები ბავშვთა და სკოლის დაწესებულებებზე. მუნიციპალიტეტის ყველა ბავშვთა ბაღში და ყველა საჯარო სკოლაში გამოკვლეული იქნა 10 წლამდე ბავშვთა კონტიგენტი ჰელმინთებზე. 42 საბავშვო ბაღში ჩატარდა დეჰელმინთიზაცია პრეპარატ ვერმოქსით და დაიხარჯა 2550 აბი პრეპარატი.

2018 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2 ტენიოზის. 569 ენტერობიოზის, 270 ასკარიდოზის და 3 ტრიქოცეფალოზის შემთხვევა.

2018 წელს მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღს ჩაუტარდა: დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია ასევე ჩატარდა ჭების, ჭაბურღილების და წყლის ავზების დეზინფექცია თორმეტი თვის განმავლობაში.

სანიტარული ღონისძიებები,

საგანმანათლებლო სადამზრდელო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა. ლექცია-საუბრების ჩატარება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მონიტორინგი ყველა სკოლაში, ყველა ბავშვთა-ბაღში, 5 საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში, მონიტორინგის განხორციელების პროცესში შემოწმებული იქნა ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების შენობების სან-ჰიგიენური მდგომარეობა, ბავშვთა სწავლებისა და ყოფის რეჟიმები, ზამთრის განმავლობაში აუცილებელი ტ/რეჟიმის შენარჩუნების მდგომარეობა, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის სან-ჰიგიენური მდგომარეობა და მათი შესაბამისობა ბავშვთა ასაკთან.

წაკითხული იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: სეზონური გრიპი და მისი პროფილაქტიკა, ინფექციური დაავადებები და მათი თავიდან აცილების ღონისძიებები, ჰეპატიტი და მისი პროფილაქტიკა. ნარკოტიკების, თამბაქოს, ალკოჰოლიზმისა და მათი მავნეობის შესახებ, ჰელმინთოზებს, ტრიქინელოზზე და მაღარიის გადაცემის გზებზე. სულ: 44 ლექცია

2015 წლის საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 01-27/თ ბრძანების შესაბამისად ობიექტებში სილამაზის, ტატუირების, პირსინგის, აკუპუნქტურის სალონების ინფექციური კონტროლის მიმართულებით არსებული ვითარების შეფასების მიზნით ჩატარდა მონიტორინგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გაფრთხილებული იქნა შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომლები, მიეცათ ბრძანებები სანიტარული ნორმების დაცვის შესახებ.

ა(ა)იპ “თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის და მონიტორინგის ცენტრი“-თან გაფორმებული ხელშეკრულება 01-39 15.05-ს საფუძველზე ჩატარდა მონიტორინგი რესტორნებში, სავაჭრო ობიექტებში, სასტუმროებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტებში და გასართობ ცენტრებში.

ცხოვრების ჯანსაღი წესის და მოსახლეობის ინფორმირების პროგრამა

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კამპანიების, სოციალური მობილიზაციის ორგანიზება და წარმართვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამა არ დამტკიცებულა ჩვენს მიერ მომზადდა საგაზეთო პუბლიკაციები: მაღარია და მისი პროფილაქტიკა. ჩატარდა ლექცია საუბრები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა სკოლამდელ დაწესებულებებში და საჯარო სკოლებში, ნიკოტინისა და ნარკოტიკების მავნეობის შესახებ, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, იოდის დეფიციტით გამოწვეული დარღვევების შესახებ, ზაფხულის თვეების ეპიდსიტუაციური პროგნოზი, ჰეპატიტებისა და მათი პროფილაქტიკის შესახებ.

აიპ ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მ. ქუტიძე

